

რედაქცია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მედიქინის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მედიქინის სახლში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. მარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИП. ЛИТ. ВЪ редакцію газ. „Дროзба“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ჟორჯელ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, ფრანგულს, ინგლისურს.
ფასი განცხადებისა: დღეობისათვის კბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბუღდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბუღდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

სტამბოლი, 27 ივლისს. სულეიმან-ფაშას მოუვიდა ბრძანება, რომ ძალით გადავიდეს ბალკანზე.
ახმედ-მეფე-ფაშა რაზგრადთან არის 40,000 კაცითა და 14 ზარბაზნით.
მართალი გამოდგა ის ამბავი, რომ ოსმალოებს ხელ-ახლად დაუპყრიათ მინი-ზაგრა და შაზანლიყი. შიპკოს გადასავალი (ბალკანზე) ჯერ კიდევ რუსების ხელშია.
გულზარაღი, 27 ივლისს. სერბია დიდის სისწრაფით აგრძობს თავის ჯარს.
სკუპსჩინამ მიანდო მინისტრს ხრისტიანს, მეროპის სახელმწიფოებთან იმუამდგომლოს, რომ სერბია ოსმალეთის ხარჯისაგან გაანთავისუფლონ.
ვენა, 28 ივლისს. ბაზეტს „Tagblatt“-ს მარნიდამ მოუვიდა შემდეგი ტელეგრამა: „რუსები სრულებით სტოვებენ ბალკანზე“.

ნის მთების სამხრეთ ნაწილს და უკან ბრუნდებიან შიპკოს გზაზელით, საიდანაც ამას წინათ გადმოვიდნენ.
მშრუშ-ღარა, 27 ივლისს. ოსმალოებს მთავრობა თხოულობს ზაიმის, მაცრის, მნგი-ძევისა და სხვა სოფლების მცხოვრებლებსაგან, რომ მოაწერონ ხელი პროტოკოლზე, რომელშიაც გამოყვანილია, რომ ვითომც რუსებმა, აქ ყოფნის დროს, აიკლეს აქაურობა, აწვალეს ხალხი და საზოგადოთ დიდი ბარბაროსობა ჩაიდინესო. შინც ამ მოთხოვნისაზე უარს ამბობს, ოსმალოს მთავრობა აწვალესო სცემს და სცარცვავს, თუნდაც მაჰმადიანები იყვნენ, არითუ სომხები.
ვენა, 26 ივლისს. რუსები ამაგრებენ ბირსოვოს, მაჩინსა და ტულჩას.
ძილიდამ იწერებიან, რომ შვე-ზღვაზე ბრძოლა იყოვო.
ლონდონი, 26 ივლისს. ინგლისური გაზეთი „Times“ ამბობს, რომ ოსმალეთს

თის მთავრობას, მართალია, მორიგება ჰქურსო, მაგრამ ამ საგანზე ჯერ რუსეთსა და პორტას შუი მოლაპარაკება არ ჩამოვარდნილაო.
სტამბოლი, 26 ივლისს. „ჰაფასის აგენტობაში“ იწერებიან, ვითომც ოსმალეთის მთავრობას გამოეცხადებინოს, რომ შიტჰხად-ფაშას არავეითარი მინდობილება არა აქვს ოსმალეთისაგან სხვა სახელმწიფოებში მიცემულიო.
ბუხარესტი, 25 ივლისს. ხელმწიფე იპვერატორმა თავისი მთავარკვარტირა სარევიცში ვადაიტანა. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შუგროსი თავის ჯარით პლენენასკენ წავიდა.
სტამბოლი, 25 ივლისს. რადგან საბერძნეთი საომრად ემზადება, ამის გამო ოსმალეთი იძულებული შეიქნა, რომ თესალიისა და მპირის სამხედვარზე ერთი ნაწილი სულეიმან-ფაშის ჯარის გაგზავნონ.

ფელტონი

ჯაფარა-გმირის ლექსი

შის არ გექნებათ გაგონილი ან ნანახი ერთი საუკეთესო კუთხეთაგანი მართლისა—ატენის ხეობა! როგორც მართული პატარძალი ძვირფასის სამკაულით და აღფერობით შემკული გინახავთ, ეგრეც ატენია ყოველის ფრით შემკული, წყლით, ტყით და ვენახებით, რომლის ღვინოც გათქმულია მთელ მართლში... აქაურ ტყეში იპოვება ყოველ გვარი ხე და ხეხილი, რაც კი ეკუთვნის საქართველოს ბუნებას; აქ ხარობს ლეღვი, ნუში, ბროწეული, ქიშიში და სხვ. და სხვ.
აი ეს ალაგი ყოფილა ჩვენი ძველი მეფეების საზაფხულო სადგომი ალაგი.
ატენაში არიან ციხე-კოშკები და მონასტრები, რომლებშიაც ხშირათ შეუფარებიათ თავი ჩვენ წინაპრებს და ბევრჯერ აღუცილებიათ თავიდან მწარე უ-

ბედურება თურქი-სპარსელებისაგან და რომელნიც ეხლაც მოწმით ამ დროისა დაჰყურებენ თავს იმ არე-მარეს...
აი ამ ადგილებისაგან უცხოვრია და უმოქმედია, ხალხის სიტყვით, იმ გმირს, რომლის სახელი ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ და რომელზედაც არავეითარი ცნობა არ არის დაწერილი ჩვენს მწიგნობრობაში, გარდა ამისი, რაც მახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში არა სწერია, რომ „რაშითის ხეში არის საფლავი ჯაფარისა, რომლის სიგძე ხუთი აღლია და სცხოვრობდა როსტომ მეფის დროსაო.“
მომყავს აქ ლექსი ჯაფარა-გმირზედ, რომელიც მე ხშირად გამიგონია ხალხისაგან მართლში და რომელიც ახლახან დაესწერე მე ერთის გორელის მესტირის სიტყვით:
როსტომ მეფის კარის-კაცი
იქო ჯაფარა გმირიო;
მეფის სიტყვის არ გამტეხი,
მას ჰქონდა ერთი პირო.

მერიგ-ობოლის მწყალობელი, საქართველოს ძირიო. ოსმალთ მეფეს წინ დაუხვდა და მას უხვეწა ღმერთიო!
სადილს უკან გამოჰგვარა. იმამი მთავისი კულდა ვირაო: „საქართველოს ვიმორჩილებ, მტელმტელ ნულარსად ნულარ ჰყვირიო!“
„შენ ქვეყანას მოუარე, ამითი ზიდე ხილიო.“
„წადი და არ დამივიწყო, საქართველოსა გმირიო!“
„შენ ჩვენ ნულარ გვეომები, მორემ დაგიჯდა ძვირიო.“
„ჩემ მაგივრათ წაიყვანე და დამტყურო, მს ჩემი კულდა ვირიო!“
—
ძველი, გარდატეხილი.

კელნი, 25 ივლისს. „ქელნის ბაზეთი“ გეაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშა წინ არ წამოიწევს რუსეთის სამზღვრისაკენაო, რადგან 25 ბათალიონი თავის ჯარიდამ იმან მეროპის ბრძოლის ველზედ უნდა გაგზავნოს.

ლონდონი, 26 ივლისს. ლორდ ხალის-ბუჩი გამოაცხადა ხალხის კრებაზედ, რომ ინგლისიდამ აქვს, ისე გადაწყდება აღმოსავლეთის დახლათული საქმეებიო, რომ ომში მონაწილეობას მიღება იმას არ დასჭირდებაო.

ბაზეთს „Times“-ში იწერებინა ლონდონიდამ, რომ ძადრი-ბეიმ უთხრა პეტროვის ელჩს ზიჩისო, რომ მსმალეთი დაუანხმდება. რუსეთთაი მორიგებას, თუ ის დასჯერდება იმაზედაო. რომ ბულგარიას თვით მმართველობა (პეტროპოლია) მიუნიჭოს და ქრისტიანი ლთბერნატორის ამორჩევის უფლება.

ომის აზრები

აზრის ბრძოლის ველიდამ

პეტერბურლის გაზეთები გეაცნობებენ, რომ იქ გაუმართავთ ხელის-მოწერა და ფულებს აგროვებენ იმ სომხების სასარგებლოდ, რომელთაც ზარალი ნახეს ოსმალოების ბარბაროსულ მოქცევისაგანაო.

ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო ამას წინათ ლონდონის გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენცია შარსიდამ, რომელიც გეაცნობებდა, რომ ქურთებმა, რუსის ჯარის წასვლის შემდეგ, ბევრი აქაური სოფლები ააოხრეს და მცხოვრებლები გაცარცვესო.

ამავე საგანზე მერე ინგლისურს გაზეთში „Daily News“-ში კიდევ იწერებინა, რომ ეს ქურთები აქაურ მცხოვრებლებს ბევრად უფრო მხეცურად და ბარბაროსულად ეპყრობიან, ვინემ ბოლგარიაში ეპყრობოდნენ შარშან ხალხს ოსმალოები და ჩერქესები.

„მაგრამ ეს გასაკვირველი არ არისო, ამბობს ხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი, რადგან, სანამ რუსები აქ იყვნენ, მანამ აქაური სომხები ყოველგვარ შემწეობას აძლევდნენ იმათ ჯარს, სურსათს უზიდავდნენ, ოსმალოს ჯარს ათვალთვლებდნენ და მერე აცნობებდნენ რუსებსაო და საზოგადოთ ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენო, რომ რუსისათვის ხელი მოემართათ და მსმალისათვის კი ევნათ.

„ამის გამო, რა გასაკვირველია, რომ გაბრაზებული ოსმალოები და ქურთები,

რუსების წასვლის შემდეგ, ხერს არ დააყრიდნენ აქ დარჩენილ სომხებს. ამ გარემოებითვე აიხსნება ის ამბავი, რომ ტერ-ლუკასოვის ჯარს ამდენი ხალხი გაჰყვა რუსეთში გადასასახლებლოდ, რადგან იცოდნენ, რომ აქ რომ დარჩენილიყვნენ, ოსმალოები იმათ ცუდათ შეაქცევდნენ.“

სხვა-და-სხვა დოკუმენტებთ შორის, რომელიც ამ აღმოსავლეთის ომს შეეხება და რომელიც ინგლისის სამინისტროს წარუდგენია პარლამენტისათვის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორი:

პირველს ამათგანში აწერილია, რომ როცა რუსები პრეტანში შევიდნენ, ადგილობრივი მცხოვრებლები აჯანყდნენ რუსების წინააღმდეგ და რუსების ჯარმა 800 კაცი დახოცა ამ დროსაო.

მერე გარემოებაც ის არის, რომ რუსის ყაზახებმა ადღერის მახლობლად იმდენზე მიიყვანეს ადგილობრივი მცხოვრებლები ჩერქესებო, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ ტყეში წასულიყვნენო და ამ დროს ტყეში 1,500 სული შიმშილით დაიხოცაო, რადგან ყოველის მხრით გარ-შემორტყმული იყვნენ და სასმელ-საჭმელი არსაიდამ მოეძეოდათო.

რუსული გაზეთები ამგვარ ხმებს არავითარ მნიშვნელობასა და სინამდვილეს არ აძლევენ.

ზოგიერთს გაზეთებში იწერებიდნენ ამას წინათ, ვითომც მსმალს მთავრობა განზრახვა აქვსო, რომ რუსეთის იმპერატორთან კაცი გაგზავნოს მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლოდ. ამ გარემოების თაობაზე ერთი ნემენსტური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება: ამ დღეებში ჩვენს ერთს თანამშრომელთაგანს მოლაპარაკება ჰქონდა მიტჰხად-ფაშასთან და იმან დაარწმუნაო, რომ მსმალეთი ამჟამად სრულებით ისეთს მდგომარეობაში არ არისო, რომ იმან პირველად ითხოვოს მორიგებაო. მსმალეთი ჯერ კიდევ იომებს, ჯერ კიდევ გაუძლებს რუსეთს და იმედი აქვსო, რომ დამარცხებული არ გამოვა ამ ბრძოლიდამაო; მაგრამ თუ დამარცხდა, თუ ბედმა უღალატა, ის მხოლოდ მაშინ მიმართავს უცხო ქვეყნებს რუსეთთან მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლოდ, როცა მტერი სტამბოლის კარებს მიადგებაო და უკანასკნელი იმედი დაგვეკარგებს გამარჯვებისაო.

მეროპის ბრძოლის ველიდამ

პლენასთან ბრძოლის შესახებ აი რას

იწერებინა ვენის გაზეთს „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“.

„17 ივლისს დაიწყო პლენასთან ბრძოლა და დილის 9 საათიდამ მერე დღის დილის 2 საათამდინ არ შეწყვეტილა. მსმალოს არმიას, რომელშიაც 60,000 კაცამდინ ითვლებოდა და რომელიც შესდგებოდა ნიშიდამ, სოფიადამ და მიდინიადამ მოსულის ჯარისაგან, ეჭირა ძალიან გამაგრებული ალაგები მდ. მიდის ნაპირასა და მთებზედ; ამათი მოთავე იყო მსმან-ფაშა. რუსებს ყვანდათ 33,000 კაცი ჯარი, რომელსაც წინ მიუძღოდნენ ლერერლები პრიდნერი, სკობილენი და შახესკოი.

„რუსის ჯარმა ორი მხრით მიადგა პლენას. ჯერ ამათ მოახერხეს მტრის განდევნა სამის გამაგრებულ ადგილიდამ, მაგრამ შემდეგ ისრეთი ცეცხლი გააჩინეს ოსმალებმა, რომ რუსები იძულებული იყვნენ, უკან დაეწიათ და ისევ დაეთმოთ ადგილი ადგილები.

„მრივე მხარე ლომებრივ იბრძოდნენ მაგრამ ოსმალებმა დასძლიეს მომეტებული რიცხვისა და გამაგრებულ პოზიციების წყალობით.

„მრივე მხრით დახოცილები და დაჭრილები ძალიან ბევრია. მანსაკუთრებით რუსის ჯარს დიდი ზარალი მიეცა (ოფიციალურმა დეპეშამ გეაცნობა რომ ამ შეტაკების დროს მარტო რუსების მხრით 5,000 კაცამდინ არის დახოცილი და დაჭრილი).

აუგსბურლის გაზეთი „Aldemeine Zeitung“ გეაცნობებს, რომ მიტჰხად-ფაშას პეტრო-მენგრიის მინისტრთან ანდრასისთან ჰქონდა მოლაპარაკება და ამდროს გადაწყვიტესო, რომ მსმალეთი უ-პეტრით და უ-ინგლისოთ არ მოუთრიდება რუსეთსაო.

ამავე გაზეთში იწერებინა სტამბოლიდამ, რომ აქაური ხალხი ძალიან აღელვებული არისო, რადგან მსმალოს საქმე მეროპის ბრძოლის ველზედ ძალიან ცუდად მიდისო. მანსაკუთრებით გაჯავრებული არიან თურმე სტამბოლელები ბერმანიის ელჩზე—პრინც რეისზე, რომელიც აგრეთვე რუსეთის ელჩის თანამდებობასაც ასრულებს. ამბობენ, განსაკუთრებით უჭირს თურმე ამას რუსის ქვეშევრდომების დაცვა ოსმალების თანატიზმისაგან, რომალნიც მსმალეთის სხვა და სხვა ქალაქებში ცხოვრებენ.

„ს.-პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილია ჩერნოგორიიდან მიღებული შემდეგი ტელეგრაფი:

„რაგუზა, 20 ივლისს. ნიკშიჩის მძევლობლად დაბანაკებულს ჩერნოგო-

რიგების ბანაკიდან იწერებინ, რომ ჩერნოგორიის ჯარმა გადასტრა წყალი, რომელიც ნიკშირის სიმაგრეში მიდიოდა და რომელიც იქ გაჩერებულ მსმალს გარნიზონს სასმელად ჰქონდა. თვითონ ნიკშირის სიმაგრე ჩერნოგორიელების ჯარით გარ-შემორტყმულია და ხარბაზნებს უშენენ გაუწყნარებლივ.

საქართველო

დღიური

* * * ბორჯომიდან გვწერენ, რომ ამ ორი კვირის წინათ იქ მისულან მოსკოვის წითელი ჯურის საზოგადოებისაგან გამოგზავნილი პირნი, რომელთაც გამართეს დქრილ და ავათმყოფ მეომრებისათვის ცალკე საავათმყოფოვო. როგორც გვწერენ საავათმყოფო ძალიან კარგათ არის მოართული ასე, რომ არც ექიმებისა და არც წამლების მგრიტ და ნაკლისი არ არისო.

* * * „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ამ წლის 1 ენკენისთვიდან რუსეთში მოსპობილი იქნება ნავთის აქციზი. ეს განკარგულება, რასაკვირველია, ყველაზე უფრო ჩვენ ბაქოს ნავთის წყაროების მეპატრონეებს უნდა უხაროდეს. იმედია აგრეთვე, რომ ამის შემდეგ, ნავთი გაიფუტება, სხვათა შორის, ჩვენშიაც.

* * * ბაქოს რუსული გაზეთი „Бакинскія Известія“ გვაცნობებს, რომ სპარსეთის სამზღვარზე ჟამი გაჩენილა. ბაქოიდან ორჯერ წასულა დოქტორების კამისია რეზტში და მწხელიში და დაუმორწმუნებიათ, რომ ამ ადგილებში ჟამი არისო, მაგრამ ისეთი ჟამიო, რომ ავათმყოფობა ამგვარი სხვა ქვეყნებში არ გადავო. მაგრამ ბაქოში მაინც კარანტინი არის თურმე და თუ ათ დღეს არ მააცდევინეს ზღვაში, ისე არავის გამოუშვებენ კიდევად.

რევიზიის დროს მეც დავესწარ ზემო-აღნიშნულს სოფელს და ვეჭრობდი, რომ მამასახლისი ამ ჯარიმის შემდგომ მაინც მტკიცეოდა და რიგინათ მიუგდებდა ყურს თავის თანამდებობას; მაგრამ ეს, როგორც დავრწმუნდი, ახლაც უფრო თავის საკუთარს კუჭისათვის სცდილობს ვიდრე ხალხის სარგებლობისათვის. პი დამტკიცება ამ უკანასკნელი გარემოების:

ამ თვის ჩვიდმეტში კვირას, როდესაც სოფლის ხალხმა ძლიერ მოიცადა და ცდლობდა ყრილობით მოელაქარაკნა საზოგადო საქმეზედ, მამასახლისი, მისი თანაშემწე და გზირი დაწინააღმდეგებდნენ სოფელში და ათვალიერებდნენ—იქნება სადმე ან ქელესს, ან წირვას, ან ნათლობას და ანუ სხვა რასმე შეხვედროდნენ და დაეჭვიანოდა ლეგინათ მუცლები; მაგრამ, რადგანაც, მათდა საუბედუროთ ვერ ეწივნენ სურვილს, ამის გამო გავიდნენ სოფელს გარეთ და აი როგორ გაიკეთეს სადილი: ბაგზანეს გლესს ს. ბ.—შვილთან გზირი და შეუთვალეს, ჩაფრები მოვიდნენო და სადილს თხოულობდნო; ამისთვის უბრძანეს, რომ გამოეგზავნა პური, ღვინო და ქათამი. ამ საწყალს გლესს ღვინო კი არა ჰქონოდა და გამოეგზავნა პური და ქათამი.

მოხელეებმა ამ გვარისავე მოტყუებით ღვინო დასტყუვეს სხვა გლესს-კაცს და დაიწყეს სადილის მირთმევა.

ბ.—შვილმა რაღაც ეჭვი აიღო და წამოვიდა კამპანიის დასათვალიერებლად, იპოვა ესენი ერთს განაპირებულს ვენახში და რადგანაც იმათში ჩაფარი არ იყო, დაუწყო ჩხუბი მოტყუებისათვის. მამასახლისმა და ნაცვალმა გზირითურთ, რომლებიც ამ დროს კარგათ იყვნენ შეზარხოზებულნი, ნაცვლად ბოდიშის მოხდისა, გამოლანძღეს ეს საცოდავი გლესი და ცემასაც უქალოდნენ, თუ არ მოერიდებინა თავს.

ეს გერემოება ნახევარსაათს შემდგომ თითქმის მრთელმა სოფელმა შეიტყო და როდესაც ერთის ხმით უთხრეს მოხელეებს ამანდ საყვედური, იმათამანდ აი რა უპასუხეს: „ღვმდის გკამდით იმ იმედით, რომ გვინოდათ ჩვენი, როგორც თანამდებობის კაცებისა და ხმას ვერ იღებდით; დღეიდგან უნდა გკამდეთ იმ იმედით, რადგანაც ვიცით, რომ ორი-სამის თვის უკან ყველი გვისრულდება და გამოგვეცლიან და რილასი გვეშინიანო.“

პი ერთი კიდევ რა მოგახსენოთ: ამას წინეთ ერთს თელაველს სომეხს გაუტეხეს სახლში სკივრი და მოჰპარეს იქიდგან ორმოცი თუმანი ფული, რომელიც ვინიცის რავედნი წელიწადია წერილ-წერილათ აგროვა თავის გასათხოვარის ქალის მზითუად.

მევი ამ ქურდობისა მიიტანეს სახლის მოჯამაგირეზედ, რომელმაც სხვა და სხვა შთაგონების შემდეგ, განმარტონა დამნაშავეთ ერთი სხვა თავის ტოლი ბიჭი. ადგილობრივმა პოლიციამ შეიპყრო ეს უკანასკნელი და დაატუსაღა სარდაფში, რომელიც აქეთ დაქირავებული თელავის სასტუმრო სახლისძირის ეტაჟში. შარაულათ დაუყენეს იმ ღამეს ერთი დესიატნიკი, მოხუცებული კაცი და ცოტა სუსტი ჰკვისა, რომელსაც თელავის წვრილ ფეხობასხვა და სხვა მოგონილს სახელებს ეძახის: „ბატის ტინა, ქარიფანტია, ჭილაო“ და სხვა. ზათენდა მეორე დღე და სარდაფში ტუსალი აღარ გამოჩნდა. საკვირველი საქმე მოხდა: ქვეშ მიწა არსად იყო მოთხრილი, რომ იქიდგან გამოსულიყო დამნაშავე, კარები ისევ ისე იყო დაკეტილი, როგორც დასტოვა პოლიციამ და ყარაული „ბატის ტინა“ კარებთან იჯდა. შარაული გვარწმუნებს, რომ მთელი ღამე არ სძინებია და ამის გამო ტუსალს არ შეეძლო გაზარვა; მნახავები გვიმტკიცებენ, რომ როდესაც სარდაფის კარს კლიტე დადევს, ტუსალი შიგ იყო. მაშ რა ვიფიქროთ, საიდგან და როგორ მოახერხა გასვლა? აქ სხვა აღარა გვეთქმის რა ამის მეტი რომ რაღაც ბუნების ძალიან ტუსალს მისცა ფრთები, გარდააქცივა პატარა ფრინვლად და მისცა საშუალება გამოფრენისა ფანჯრიდგან, რომელსაც მიხედა ჰქონდა ჩამტკრეული.

შინ არის აქ დამნაშავე—მკითხველმა გაიგოს. მაგრამ ფულის პატრონმა რილათი გაიგრილოს გული? სადღაეძებოს ქურდი? ეს საწყალი აქამდის კიდევ იმით იძლევედა ნუგეშს, რომ რაკი ტუსალი შეპყრობილია, იქნება ფულებიც გამოჩნდესო...

ა. შიუკოვი.

ნარკვი


ხალიფის დროშა

შოველის მხრით ახირებული ყოფილა ეს ხალიფის დროშა! მართლ-მართო იმ ხმას, რომ სულთანმა ამ შესანიშნავი დროშის გაშლას აირბნულ და მართ-მორწმუნეს გამოწვევას, რომ განუკითხავთ ქლიტონ სადაც ჩაეწვიან ქრისტიანს მტყუანი იქნება თუ მართალი, მთელი შროპის ბირებები შეუნგრევიან.

პი იკითხავთ, რა მიზეზითაო, ან რა დამაკიდებულობა აქვს იმ დროშას ვაჭრობასთან? რა დამოკიდებულება და, მაჰმადიანების კანონის ძალით, ამ საკვირველი დროშის გაშლის შემდეგ, ვექსილებით ვალის გარდახდის ვადა უღრო-ღრომდი შეჩერდება თურმე! არამც თუ კერძო ვალებისა, არამედ სახელმწიფო ვალების ვადაც...

„დ რ მ ე ბ ა“ კორმუნდენსია

თელავი, 24 ივლისი. ამას წინეთ თელავის უეზდის უფროსის თანაშემწემ დაიარა სოფლის სასამართლოები და რამდენიმე სოფლის მამასახლისს გარდაახ. დევინა ჯარიმა უწესო ქცევისათვის სხვათა შორის, სოფლის მეომრ-ხოლაშინის მამასახლისს გარდაახდევინა ხუთი მანეთი მისთვის, რომ მას, თავის სისუსტის მიზეზით, არ აღუსრულებია სუდიების გარდაწყვეტილება შესახებ ჯარიმებისა და თუ წაურთმევიან ვისთვისმე ამ გვარი ჯარიმა; ისიც თავის სასარგებლოთ მოუხმარია.



ძველი დენერლის ნაამბობი

„შირიშის ომის დროს, 1855 წ., შარსიდან მოწყაედა რამოდენიმე ასი ტყვე ოსლებისა. მათს სტანციაზე მთელი ღამე დავისკენით. დილაზე ჩემ ოთახში შემოვიდა გაფითრებული უნტერ-აფიცერი, და მომასხენა:

„— ოქვენო უაღმატებულეზავ! სალდათმა ემაწვილი შობა!

„— როგორ? რას ამბობ?

„— სალდათმა ემაწვილი შობა, თქვენო უაღმატებულეზავ!

„— რას ბოდავ, გაგაქვი? წადი, კარგათ შეიტყვე ყველაფერი და მერე მომხსენე.

„მკრი მინუტის შემდეგ უნტერ-აფიცერი შემობრუნდა.

„— ოქვენო უაღმატებულეზავ, სწორეთ ისე გახლავთ, როგორც წელან მოგასხენეთ.

„— მაშ ქალი ყოფილა რაღა?

„— აღბათ, თქვენო უაღმატებულეზავ...

„ამოხნდა, რომ ტყვეებ-შორის ორსული ოსმა-ლოს ქალი ყოფილა სალდათთ ჩაცმული ..

* *

უკანასკნელის სტატისტიკურის გამოანგარიშებით, უზრუნველ ვილიდებში ითვლება სულ— 1,225,000 ორივე სქესის მცხოვრები. ამათში ერთი-მეორეზე რომ ციანდარიშით, ყოველ ასს სულზე მოდის: 24 სული ქურთი, 23 სომეხი, 22 ოსმალი, 13 სპარსელი და 13 სხვა ხალხის წარმომადგენელი ბერძენი, ჩერქეზები და სხვ. სარწმუნოებით ყოველ არის კაცში 67 მამადიანია და დანარჩენი 33 ქრისტიანი.

განსხვავებული

სრული კანონი მახტანგ მეფისა, ბიორგი მეფისა, ქათალიკოზისა, აღბულასი-ბერძნული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქალაღზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

შახის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

კავკასიის საზღოო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღამე-ღამე უფასო მიიღებენ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთმყოფი ქალები და ყმაწვილების.

ქალის ავთმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 სათილამ 11-დინ—დოქტორი მანათი.

მთხშობათობითა და შაბათობით 12 სათილამ 1-დინ—დოქტორი რემერტი.

სამშობათობით და შაბათობით 11-დინ 12 მდინ—დოქტორი აღბანუსი.

საყმაწვილო ავთმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 სათილამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უზა.

შაბათობით 12 სათზე რჩევა დოქტორებისა, რემერტის, აღბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავთმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

თვილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, წინამძღვარების სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 სათილამ დილის 10 სათამდინ.

მრშაბათს: ექიმი მინკოვიჩი—ხირურგიული ავთმყოფობისათვის; ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამაშვილი—თვალის ექიმი.

მთხშაბათს: ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფობისათვის; მინკოვიჩი—ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—ხირურგიული ავთმყოფობისათვის.

შაბათს: ლისიცივი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკოვიჩი—ხირურგიული ავთმყოფობისათვის.

შაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, მინკოვიჩი—ხირურგიული ავთმყოფობისათვის და მამაშვილი—თვალის ავთმყოფობისათვის.

გამოსცლილი და განათლებული მალე, რომელმაც იცის რუსული, ფრანგული, ანგლიური და ნემენცური, აქლმის უროკებს იაზ ფასათ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიმართონ მალამ ძანონის. ტეტრადოვის სახლებში მერაქსის ქუჩაზე.

ქილილა და მანა,

თარგმნილი სპარსულიდან ქართულ ენაზედ მეფე მახტანგისაგან და გალექსილი საბა სულხან მრბელიანისაგან სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუნებრივი ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართონ „დროების“ რედაქციაში.

პრისიკაშენის კომპანია

რიმსკი-კორსაკოვი კისრულობს სამეფოს წარმოებას, არხების დაწერას და აქლმის დარიგებას.

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საცდრის სახლი.

Table with columns for dates (კაპ.), months (თვე), and various categories (თელი, მცხოვრები, ბიკაშ, მან. კაპ.). It contains numerical data for different months and categories.